



სდასუ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

აკადემიური საბჭოს N 2 გადაწყვეტილებით

12.02.2024

საბაკალავრო პროგრამის დასახელება:
ინფორმაციული ტექნოლოგიები (Information Technologies)

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი
Bachelor of Information Technologies

პროგრამის ხანგრძლივობა: 4 წელი (8 სემესტრი)

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: ლევანი ჭოლიკიძე, მოწვეული სპეციალისტი

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება: საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; პროგრამის 240 კრედიტი = 6000 სთ). პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს სპეციალობაში.

პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი. მისცეს ფართო ცოდნა სფეროს ძირითადი საკითხების შესახებ; მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ თანამედროვე დონის სისტემური, მეთოდოლოგიური, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური, ინფორმაციულ-ანალიტიკური ცოდნა, რაც მათ საშუალებას მისცემს მზად იყვნენ იმ ცვლილებებისთვის, რომლის პირობებშიც მოუწევთ საქმიანობა; განუვითაროს სტუდენტებს კრიტიკული, ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნება, რათა წარმატებით შეძლონ მონაწილეობის მიღება სხვადასხვა პროფილის ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების დაპროექტებაში, ინტეგრირებასა და დანერგვაში; ფორმის, საწარმოს, ორგანიზაციის ინფორმაციული რესურსების განვითარებაში; გამოუმუშავოს თანამედროვე კომპიუტერული ქსელების, ვებ ტექნოლოგიების, მედია აპლიკაციების შექმნის, ოპერაციულ სისტემებში სხვადასხვა სტანდარტული პროგრამული სერვისის იმპლემენტაციის, ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების აგების, სერვისული მომსახურების, პროგრამული უზრუნველყოფის შენარჩუნებისა და გამართვის უნარი. ასევე, გამოუმუშაოს პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა.

პროგრამის აქტუალობა და ანალოგები

საზოგადოების ინტერესი ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით თანდათანობით იზრდება. დღითიდღე მოთხოვნადი ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესია ყველა ტიპის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. წინამდებარე საბაკალავრო პროგრამას გააჩნია პრაქტიკული კომპონენტი, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ განავითარონ ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგობრივი სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნა და უნარები მათი ინტერესებიდან გამომდინარე. ამავდროულად საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის კომპონენტის კრედიტების რაოდენობა, კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს, რომ საერთაშორისო შრომის ბაზარზე იყოს მოთხოვნადი. პროგრამა ემყარება დასავლეთის უნივერსიტეტებში ანალოგიური პროგრამების განხორციელების გამოცდილებას^{1,2}

¹ https://www.unyp.cz/academic-programs/bachelors-programs/bachelor-information-technology?utm_campaign=study-portals&utm_medium=button-ba&utm_source=educations-com&fbclid=IwAR3tg-MUU_u0kRUzI7JdJmX2HKT_wopuoYBX6bYtDvkBw4hisTkoT5Xk2oE

² <https://tudublin.ie/study/undergraduate/courses/computing-tu860/?courseType=Undergraduate&keywords=&fbclid=IwAR1vraQRZQ1yB59dPmwnRsCQ1aS96f-kpqN-3S7vpdNSIoVyZiak68B6Awg>

პროგრამის სტრუქტურა

ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრისთვის შესაბამისი ცოდნის და უნარების ჩამოყალიბება ხდება პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების/კომპონენტების და თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სინთეზის საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და სასწავლო გეგმის ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევას და ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებას. "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე.

„ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამა	240 კრედიტი:
ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები :	180 კრედიტი
• სავალდებულო სასწავლო კურსები:	135 კრედიტი
• არჩევითი სასწავლო კურსები:	45 კრედიტი
თავისუფალი კომპონენტები:	60 კრედიტი
• სავალდებულო სასწავლო კურსები:	30 კრედიტი
• არჩევითი სასწავლო კურსები:	30 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სდასუ-ს სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან სასწავლო კურსები. არჩევანის ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას. სწავლის პროცესში გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევების შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსია/დებატებს, გონებრივ იერიშს (Brain storming), წერით მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას, დემონსტრირებას, პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას და სხვ. კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში გამოიყენება, როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება, რის შედეგადაც სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო ბაკალავრის საქმიანობა - უფრო აქტიური. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა-გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე. სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება	<ol style="list-style-type: none"> 1. განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნის სფეროების ძირითად საკითხებს; 2. აღწერს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და მისი გამოყენებით სხვა სფეროს პროექტების განხორციელებისათვის აუცილებელ პროგრამულ და ტექნიკურ საშუალებებს; 3. განიხილავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ამოცანების/პროექტების განხორციელება-დანერგვასთან დაკავშირებულ ალგორითმებს და შეუსაბამებს სათანადო პროგრამულ საშუალებებს; 4. ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა ამოცანის/პროექტის შემუშავება/განვითარების/დანერგვის პროცესში განსაზღვრავს და აკავშირებს დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს.
უნარი	<ol style="list-style-type: none"> 5. ანალიზებს ინფორმაციული ტექნოლოგიების პრობლემებსა და პრინციპებს შესაბამისი დისციპლინების გამოყენებით; 6. სფეროს დისციპლინების კონტექსტთან შესაბამისობაში, მონაწილეობს კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების შემუშავებაში, დასმული ამოცანების განხორციელებასა და შეფასებაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების მოცემული მოთხოვნების შესაბამისად; 7. ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტებში ახორციელებს ქმედით კომუნიკაციას სხვადასხვა პროფესიულ კონტექსტში; 8. ანალიზებს მომხმარებლის მოთხოვნებს, ითვალისწინებს მათ კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემების შერჩევას, შექმნის, შეფასებისა და ადმინისტრირების პროცესში.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	<ol style="list-style-type: none"> 9. პროფესიული საქმიანობისას, იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს ეთიკური პრინციპების საფუძველზე; 10. ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში ასრულებს გუნდის წევრის ან/და ლიდერის მოვალეობას; 11. განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ განვითარებას, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია ბაკალავრებისთვის.

პრაქტიკა: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორის დახასიათების გათვალისწინებით ბაკალავრის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. სტუდენტის საქმიანობა პრაქტიკის ობიექტზე ფასდება მენტორების მიერ (მინ. 21; მაქს. 60 ქულა) და პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა; მაქს. 40 ქულა). მენტორის მიერ სტუდენტის შეფასების და კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

საბაკალავრო ნაშრომი: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის გათვალისწინებით რეცენზენტის შეფასებისა (მინ. 31 ქულა, მაქს. 60 ქულა) და საჯარო დაცვის (მინ. 20 ქულა, მაქს. 40 ქულა) ქულათა ჯამით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა სავალდებულოა. სტუდენტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით დარგობრივი კომისიის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების საფუძველზე. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა, ხოლო მაქსიმალური - 100 ქულა. რეცენზენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების და კომისიის მიერ დაცვის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში და ხელმისაწვდომია ბაკალავრებისათვის.

შეფასების სისტემა უშვებს

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) მაღიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების

გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორებში, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში იყენებენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. კერძოდ: მართვის სახელმწიფო ორგანოებში, სასწავლო დაწესებულებებში; საინფორმაციო-საკომუნიკაციო კომპანიებში, ფინანსურ დაწესებულებებში, საბანკო და სადაზღვევო კომპანიებში; სამრეწველო, სატელეკომუნიკაციო, კავშირგაბმულობის და სატრანსპორტო კომპანიებში; კომპიუტერული და ელექტრონიკის სავაჭრო და მომსახურების კომპანიებში; სამართალდამცავ სრუქტურებში; ორგანიზაციებში და კომპანიებში, სადაც მოითხოვება ინფორმაციული ტექნოლოგიის დანერგვა და მათი მუშაობის უზრუნველყოფა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში კანონდებლობით დადგენილი წესით.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ინფორმაციული ტექნოლოგიური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. კერძოდ: საბიბლიოთეკო რესურსი, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, კომპიუტერული ცენტრები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერული ტექნიკით, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები და სხვ. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვ. სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული). ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარებების კვადაკვალ და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგების მიღწევასა და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განხორციელებას; ბაკალავრიატის სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. კერძოდ: Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>); eDuke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>); IMF eLibrary (<http://www.elibrary.imf.org/?redirect=true>); Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>); SAGE Premier (<http://journals.sagepub.com/>), რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს და პერსონალს გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. პრაქტიკას ბაკალავრიატის სტუდენტები გადიან სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ბაზაზე და იყენებენ იქ არსებულ მატერიალურ ტექნიკურ რესურსებს.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური (მათ შორის აფილირებული) და მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი სათანადო კომპეტენცია - დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და/ან პრაქტიკული გამოცდილება.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული პერსონალის ანაზღაურებაზე, წიგნადი ფონდის და სასწავლო მასალის განახლებაზე, პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, კვლევითი საქმიანობის და სტუდენტთა მიერ მცირე მოცულობის სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების შესრულების ხელშეწყობაზე, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობასა და საკონფერენციო ნაშრომების კრებულის სახით გამოშვებაზე, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს წამყვან სპეცილისტთა საჯარო ლექციებსა და გასვლით სასწავლო ღონისძიებებზე, ასევე სხვადასხვა სტუდენტურ ინიციატივებზე. საბაკალავრო პროგრამისთვის სკოლის ბიუჯეტით ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

შენიშვნა: „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამას დამატებითი ინფორმაცია ერთვის დანართების სახით და წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.

„ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო

პროგრამის ხელმძღვანელი:

ლევანი ჭოლიკიძე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

რუსუდან კვარაცხელია

„ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საბაკალავრო პროგრამის დანართები

დანართი 1

„ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა
საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები კრედიტებისა და სასწავლო სემესტრების მითითებით

N	სასწავლო კომპონენტი	წინაპირობები	კრედიტები	საათები	საათების განაწილება						სასწავლო სემესტრები							
					საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი მუშაობის საათები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
					ლექცია	ჯგუფში /პრაქტიკული მუშაობა და შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო საათები										
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	
1. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები - 180 კრ მათ შორის:																		
სავალდებულო სასწავლო კურსები - 135 კრ																		
1.1	ICT წიგნიერება	-	5	125	-	30	2	32	93	X								
1.2	კალკულუსი	-	5	125	15	30	2	47	78	X								
1.3	დაპროგრამების საფუძვლები	-	5	125	15	30	2	47	78	X								
1.4	ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები	-	5	125	15	30	2	47	78	X								
1.5	კომპიუტერის არქიტექტურა	1.1	5	125	15	30	2	47	78		X							
1.6	წრფივი ალგებრა	1.2	5	125	15	30	2	47	78		X							
1.7	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (C#)	1.3	5	125	15	30	2	47	78		X							
1.8	დისკრეტული სტრუქტურები	1.2	5	125	15	30	2	47	78		X							
1.9	ოპერაციული სისტემები	1.1	5	125	17	28	2	47	78		X							
1.10	სტატისტიკა	1.1 1.2	5	125	16	29	2	47	78			X						
1.11	მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები (SQL Server) - 1	1.1 1.3	5	125	15	30	2	47	78			X						
1.12	ვებზე დაფუძნებული დაპროგრამება 1	-	5	125	17	28	2	47	78			X						
1.13	ვებ ინტერფეისის დიზაინი	-	5	125	-	30	2	32	93			X						
1.14	მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები (SQL Server) - 2	1.11	5	125	15	30	2	47	78				X					
1.15	ვებზე დაფუძნებული დაპროგრამება 2	1.12	5	125	17	28	2	47	78				X					
1.16	მედია ტექნოლოგიები	1.1	5	125	-	30	2	32	93				X					
1.17	ინგლისური ენა (დარგობრივი)	2.5	5	125	-	60	2	62	63					X				
1.18	კომპიუტერული ქსელები	1.1	5	125	15	30	2	47	78					X				

1.19	კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება	1.18	5	125	15	30	2	47	78								X	
1.20	ინფორმაციული უსაფრთხოება	1.1 1.17	10	250	30	30	2	62	188								X	
1.21	IT პროექტების მართვა	1.1 1.17	5	125	13	32	2	47	78									X
1.22	ჰიბრიდული მობილური აპლიკაციების დეველოპმენტი	1.15 1.17	5	125	17	28	2	47	78									X
1.23	პრაქტიკა	1.1 - 1.22	10	250	-	-	-	162	88									X
1.24	საბაკალავრო ნაშრომი	1.1 - 1.22	10	250	-	-	-	92	158									X
არჩევითი სასწავლო კურსები - 45კრ																		
1.25	საგამომცემლო სისტემები	1.1 1.17	5	125	-	30	2	32	93									
1.26	დაპროგრამება მრავალფუნქციურ - Python ენის ბაზაზე	1.3	5	125	15	30	2	47	78									
1.27	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ენა Java	1.3	5	125	14	31	2	47	78									
1.28	კომპიუტერული დაპროექტების სისტემა (AutoCad)	1.1	5	125	15	30	2	47	78									
1.29	ელექტრონული ბიზნესის სისტემები	-	5	125	14	16	2	32	93									
1.30	მულტიმედია პაკეტი Adobe Audition, Adobe Premiere	1.1 1.17	5	125	-	45	2	47	78									
1.31	სამაგიდო აპლიკაციები Visual C#.NET ბაზაზე	1.7 1.11	5	125	14	31	2	47	78								10 კრ	10 კრ
1.32	საკომუნიკაციო ქსელების ორგანიზება	1.19 1.17	5	125	14	31	2	47	78									
1.33	ანალიტიკა მონაცემთა ბაზებში	1.14	5	125	15	30	2	47	78									
1.34	მობილური აპლიკაციების დაპროგრამება (Android)	1.27 1.17	5	125	17	28	2	47	78									
1.35	ვებ ორიენტირებული დაპროგრამება (PHP&ASP.NET)	1.11 1.15	5	125	15	30	2	47	78									
1.36	დიდი მონაცემების მენახვა და დამუშავება	1.14	5	125	15	30	2	47	78									
1.37	სამაგიდო აპლიკაციები Python-ის ბაზაზე	1.26 1.11	5	125	14	31	2	47	78									
2. თავისუფალი კომპონენტები - 60 კრედიტი																		
სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრ																		
2.1	აკადემიური წერა	-	5	125	15	15	2	32	93	X								
2.2	ინგლისური ენა 1	-	5	125	15	45	2	62	63	X								
2.3	ინგლისური ენა 2	2.2	5	125	15	45	2	62	63		X							

2.4	ინგლისური ენა 3	2.3	5	125	15	45	2	62	63			X					
2.5	ინგლისური ენა 4	2.4	5	125	15	45	2	62	63				X				
2.6	მენეჯმენტის საფუძვლები	-	5	125	15	30	2	47	78				X				
არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრ																	
2.7	რუსული ენა 1	-	5	125	15	45	2	62	63								
2.8	რუსული ენა 2	2.7	5	125	15	45	2	62	63								
2.9	რუსული ენა 3	2.8	5	125	15	45	2	62	63								
2.10	რუსული ენა 4	2.9	5	125	15	45	2	62	63								
2.11	კრიტიკული აზროვნება	-	5	125	15	15	2	32	93								
2.12	ფსიქოლოგიის საფუძვლები	-	5	125	15	15	2	32	93								
2.13	ფილოსოფიის საფუძვლები	-	5	125	15	15	2	32	93								
2.14	სოციოლოგია	-	5	125	16	14	2	32	93								
2.15	საქართველოს ისტორია	-	5	125	15	15	2	32	93								
2.16	ლიდერობა - მართვის ხელოვნება	-	5	125	15	15	2	32	93			5 კრ		5 კრ		10 კრ	5 კრ
2.17	ბიზნესის საფუძვლები	-	5	125	15	30	2	47	78								
2.18	ტურიზმის საფუძვლები	-	5	125	18	27	2	47	78								
2.19	ფინანსების საფუძვლები	-	5	125	15	15	2	32	93								
2.20	მარკეტინგის საფუძვლები	-	5	125	16	29	2	47	78								
2.21	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	-	5	125	15	30	2	47	78								
2.22	საქმიანი ურთიერთობების ეთიკა (ინგლისურ ენაზე)	2.5	5	125	15	15	2	32	93								

***შენიშვნა:** 1) საბაკალავრო ნაშრომის გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში საკონტაქტო საათების განაწილების განრიგი დაზუსტდება უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის სპეციფიკის და სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;

2) საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების სავალდებულო პირობაა დაცვის მომენტისთვის 230 კრედიტის მიღება.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები	შენიშვნა
<ul style="list-style-type: none"> საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი. მისცეს ფართო ცოდნა სფეროს ძირითადი საკითხების შესახებ; მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ თანამედროვე დონის სისტემური, მეთოდოლოგიური, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური, ინფორმაციულ-ანალიტიკური ცოდნა, რაც მათ საშუალებას მისცემს მზად იყვნენ იმ ცვლილებებისთვის, რომლის პირობებშიც მოუწევთ საქმიანობა. 	<ul style="list-style-type: none"> განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნის სფეროების ძირითად საკითხებს; აღწერს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და მისი გამოყენებით სხვა სფეროს პროექტების განხორციელებისათვის აუცილებელ პროგრამულ და ტექნიკურ საშუალებებს; განიხილავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ამოცანების/პროექტების განხორციელება-დანერგვასთან დაკავშირებულ ალგორითმებს და შეუსაბამებს სათანადო პროგრამულ საშუალებებს; ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა ამოცანის/პროექტის შემუშავება/განვითარების/დანერგვის პროცესში განსაზღვრავს და აკავშირებს დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს. 	

<ul style="list-style-type: none"> განუვითაროს სტუდენტებს კრიტიკული, ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნება, რათა წარმატებით შეძლონ მონაწილეობის მიღება სხვადასხვა პროფილის ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების დაპროექტებაში, ინტეგრირებასა და დანერგვაში; ფირმის, საწარმოს, ორგანიზაციის ინფორმაციული რესურსების განვითარებაში; გამოუმუშავოს თანამედროვე კომპიუტერული ქსელების, ვებ ტექნოლოგიების, მედია აპლიკაციების შექმნის, ოპერაციულ სისტემებში სხვადასხვა სტანდარტული პროგრამული სერვისის იმპლემენტაციის, ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების აგების, სერვისული მომსახურების, პროგრამული უზრუნველყოფის შენარჩუნებისა და გამართვის უნარი. 	<ul style="list-style-type: none"> აანალიზებს ინფორმაციული ტექნოლოგიების პრობლემებსა და პრინციპებს შესაბამისი დისციპლინების გამოყენებით; სფეროს დისციპლინების კონტექსტთან შესაბამისობაში, მონაწილეობს კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების შემუშავებაში, დასმული ამოცანების განხორციელებასა და შეფასებაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების მოცემული მოთხოვნების შესაბამისად ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტებში ახორციელებს ქმედით კომუნიკაციას სხვადასხვა პროფესიულ კონტექსტში. აანალიზებს მომხმარებლის მოთხოვნებს, ითვალისწინებს მათ კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემების შერჩევის, შექმნის, შეფასებისა და ადმინისტრირების პროცესში. 	
<ul style="list-style-type: none"> გამოუმუშავოს პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა. 	<ul style="list-style-type: none"> პროფესიული საქმიანობისას, იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს ეთიკური პრინციპების საფუძველზე; ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში ასრულებს გუნდის წევრის ან/და ლიდერის მოვალეობას; განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ განვითარებას, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში. 	

ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

სახელი, გვარი	სტატუსი	აფილირების შესახებ	სასწავლო კურსები
ვლადიმერ ადამია	პროფესორი		კომპიუტერული ქსელები; კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება; საკომუნიკაციო ქსელების ორგანიზება
ელისაბედ ბალიაშვილი	პროფესორი	აფილირებული	მენეჯმენტის საფუძვლები
თინათინ დოლიაშვილი	პროფესორი	აფილირებული	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები
გიორგი კალანდია	პროფესორი	აფილირებული	საქართველოს ისტორია
ირინე კაპანაძე	პროფესორი	აფილირებული	რუსული ენა 1; რუსული ენა 2; რუსული ენა 3; რუსული ენა 4;
დავით კვიციანი	პროფესორი	აფილირებული	სტატისტიკა
გიორგი სუბელიანი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული	ბიზნესის საფუძვლები ლიდერობა - მართვის ხელოვნება
დოდო თხელიძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული	კალკულუსი; წრფივი ალგებრა; დისკრეტული სტრუქტურები
ირინე მანიჭაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული	აკადემიური წერა კრიტიკული აზროვნება
გიორგი ბასილაძე	ასოცირებული პროფესორი		ინფორმაციული უსაფრთხოება; IT პროექტების მართვა
ლელა ნატროშვილი	ასოცირებული პროფესორი		ICT წიგნიერება მედია ტექნოლოგიები;
თეიმურაზ ტაბატაძე	ასოცირებული პროფესორი		კომპიუტერული ქსელები; კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება; საკომუნიკაციო ქსელების ორგანიზება მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები (SQL Server) – 1; მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები (SQL Server) - 2
მანანა ნანიტაშვილი	ასოცირებული პროფესორი		მარკეტინგის საფუძვლები

ხატია შევარდნაძე	ასოცირებული პროფესორი		აკადემიური წერა კრიტიკული აზროვნება
ლალი ტოკაძე	ასოცირებული პროფესორი		ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (C#); სამაგიდო აპლიკაციები Visual C#.NET ბაზაზე; ანალიტიკა მონაცემთა ბაზებში; დიდი მონაცემების შენახვა და დამუშავება; სამაგიდო აპლიკაციები Python-ის ბაზაზე
მანანა გაგოშიძე	ასოცირებული პროფესორი		ფილოსოფიის საფუძვლები;
ნესტან აკობია	ასოცირებული პროფესორი	ავილირებული	ინგლისური ენა 1; ინგლისური ენა 2; ინგლისური ენა 3; ინგლისური ენა 4.
პაატა კუნჭულია	ასოცირებული პროფესორი		ფინანსების საფუძვლები
ჟანეტა კილასონია	ასისტენტ პროფესორი	ავილირებული	სოციოლოგიის საფუძვლები
ვახტანგ ნადირაძე	ასისტენტ პროფესორი	ავილირებული	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები
შალვა ბერიაშვილი	მოწვეული სპეციალისტი		კალკულუსი; წრფივი ალგებრა; დისკრეტული სტრუქტურები
ლევანი ჭოლიკიძე	მოწვეული პერსონალი		ჰიბრიდული მობილური აპლიკაციების დეველოპმენტი; მობილური აპლიკაციების დაპროგრამება (Android); საგამომცემლო სისტემები; ოპერაციული სისტემები; კომპიუტერის არქიტექტურა.
მაია დოლიძე	მოწვეული პერსონალი		ვებზე დაფუძნებული დაპროგრამება 1 ვებზე დაფუძნებული დაპროგრამება 2 ვებ ორიენტირებული დაპროგრამება (PHP&ASP.NET MVC)
მარინე ბრელიძე	მოწვეული პერსონალი		ვებ ინტერფეისის დიზაინი. კომპიუტერული დაპროექტების სისტემა (AutoCad) მულტიმედია პაკეტები Adobe Audition, Adobe Premiere
ლელა გაჩეჩილაძე	მოწვეული პერსონალი		დაპროგრამება მრავალფუნქციურ - Python ენის ბაზაზე ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ენა Java;

			დაპროგრამების საფუძვლები; ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები;
გიორგი ლილუაშვილი	მოწვეული პერსონალი		ICT წიგნიერება ელექტრონული ბიზნესის სისტემები IT პროექტების მართვა მედია ტექნოლოგიები;
კობა არაბული	მოწვეული პერსონალი		ტურიზმის საფუძვლები
სოფიო მორალიშვილი	მოწვეული გპერსონალი		ინგლისური ენა 1; ინგლისური ენა 2; ინგლისური ენა 3; ინგლისური ენა 4; ინგლისური ენა (დარგობრივი).
ნინო ცერცვაძე	მოწვეული პერსონალი		ფსიქოლოგიის საფუძვლები; ლიდერობა - მართვის ხელოვნება.
თამარ ხეცურიანი	მოწვეული პერსონალი		ინგლისური ენა 1; ინგლისური ენა 2; ინგლისური ენა 3; ინგლისური ენა 4. საქმიანი ურთიერთობების ეთიკა (ინგლისურ ენაზე). ინგლისური ენა (დარგობრივი).

კურიკულუმის რუკა

N	სასწავლო კურსები	სწავლის შედეგები										
		შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5	შედეგი 6	შედეგი 7	შედეგი 8	შედეგი 9	შედეგი 10	შედეგი 11
1	ICT წიგნიერება	1						1				1
2	კალკულუსი	1							1			
3	დაპროგრამების საფუძვლები	1	1	1								
4	ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები	1		1								
5	კომპიუტერის არქიტექტურა	1,2				1						
6	წრფივი ალგებრა	2							2			
7	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (C#)	2	2	2								
8	დისკრეტული სტრუქტურები	1		1						1		
9	ოპერაციული სისტემები	1				1	1		1			
10	სტატისტიკა					2			2			
11	მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები (SQL Server) - 1	1			1	1						
12	ვებზე დაფუძნებული დაპროგრამება 1	1,2	1,2	1,2	1,2			1	1,2	1	1,2	1
13	ვებ ინტერფეისის დიზაინი	1	1		1			1	1			
14	მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები (SQL Server) - 2	2			2	2	2					
15	ვებზე დაფუძნებული დაპროგრამება 2	3	3	3	3		2	2	3	2	3	2
16	მედია ტექნოლოგიები	1	1		1,2			1				
17	ინგლისური ენა (დარგობრივი)							3				
18	კომპიუტერული ქსელები	1,2		1,2	1,2		1,2		1,2	1,2	1,2	
19	კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება	3		3	3		3		3	3	3	
20	ინფორმაციული უსაფრთხოება	3	3	3	3	3	3	2	3	3		2
21	IT პროექტების მართვა	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	2
22	ჰიბრიდული მობილური აპლიკაციების დეველოპმენტი	3	3	3	3			3	3		3	2
23	პრაქტიკა					3	3	3	3	3	3	3
24	საბაკალავრო ნაშრომი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
25	აკადემიური წერა							1,2,3				1
26	ინგლისური ენა 1							1				
27	ინგლისური ენა 2							2				
28	ინგლისური ენა 3							2				
29	ინგლისური ენა 4							2				
30	მენეჯმენტის საფუძვლები										1,2	

- შედეგი 1.** განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნის სფეროების ძირითად საკითხებს;
- შედეგი 2.** აღწერს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და მისი გამოყენებით სხვა სფეროს პროექტების განხორციელებისათვის აუცილებელ პროგრამულ და ტექნიკურ საშუალებებს;
- შედეგი 3.** განიხილავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ამოცანების/პროექტების განხორციელება-დანერგვასთან დაკავშირებულ ალგორითმებს და შეუსაბამებს სათანადო პროგრამულ საშუალებებს;
- შედეგი 4.** ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა ამოცანის/პროექტის შემუშავება/განვითარების/დანერგვის პროცესში განსაზღვრავს და აკავშირებს დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს;
- შედეგი 5.** აანალიზებს ინფორმაციული ტექნოლოგიების პრობლემებსა და პრინციპებს შესაბამისი დისციპლინების გამოყენებით;
- შედეგი 6.** სფეროს დისციპლინების კონტექსტთან შესაბამისობაში, მონაწილეობს კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების შემუშავებაში, დასმული ამოცანების განხორციელებასა და შეფასებაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების მოცემული მოთხოვნების შესაბამისად;
- შედეგი 7.** ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტებში ახორციელებს ქმედით კომუნიკაციას სხვადასხვა პროფესიულ კონტექსტში;
- შედეგი 8.** აანალიზებს მომხმარებლის მოთხოვნებს, ითვალისწინებს მათ კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემების შერჩევას, შექმნის, შეფასებისა და ადმინისტრირების პროცესში;
- შედეგი 9.** პროფესიული საქმიანობისას, იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს ეთიკური პრინციპების საფუძველზე;
- შედეგი 10.** ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში ასრულებს გუნდის წევრის ან/და ლიდერის მოვალეობას;
- შედეგი 11.** განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ განვითარებას, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში.

შენიშვნა: დანართ 3-ში შედეგისა და სასწავლო კურსების სვეტის გადაკვეთაში ჩაწერილი რიცხვები ნიშნავს თუ როგორ ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი შესაბამის სწავლის შედეგს. კერძოდ: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება და 3 - განმტკიცება.

სამიზნე ნიშნულები

N	სწავლის შედეგი	სამიზნე ნიშნული
1.	განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნის სფეროების ძირითად საკითხებს.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მიიღებს მაქსიმალური შეფასების 71%-მდე.
2.	აღწერს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და მისი გამოყენებით სხვა სფეროს პროექტების განხორციელებისათვის აუცილებელ პროგრამულ და ტექნიკურ საშუალებებს.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მიიღებს მაქსიმალური შეფასების 71%-მდე.
3.	განიხილავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ამოცანების/პროექტების განხორციელება-დანერგვასთან დაკავშირებულ ალგორითმებს და შეუსაბამებს სათანადო პროგრამულ საშუალებებს.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მიიღებს მაქსიმალური შეფასების 71%-მდე.
4.	ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა ამოცანის/პროექტის შემუშავება/განვითარების/დანერგვის პროცესში განსაზღვრავს და აკავშირებს დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მიიღებს მაქსიმალური შეფასების 71%-მდე.
5.	აანალიზებს ინფორმაციული ტექნოლოგიების პრობლემებსა და პრინციპებს შესაბამისი დისციპლინების გამოყენებით.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მიიღებს მაქსიმალური შეფასების 71%-მდე.
6.	სფეროს დისციპლინების კონტექსტთან შესაბამისობაში, მონაწილეობს კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების შემუშავებაში, დასმული ამოცანების განხორციელებასა და შეფასებაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების მოცემული მოთხოვნების შესაბამისად.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მიიღებს მაქსიმალური შეფასების 71%-მდე.
7.	ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტებში ახორციელებს ქმედით კომუნიკაციას სხვადასხვა პროფესიულ კონტექსტში.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მიიღებს მაქსიმალური შეფასების 71%-მდე.
8.	აანალიზებს მომხმარებლის მოთხოვნებს, ითვალისწინებს მათ კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემების შერჩევას, შექმნის, შეფასებისა და ადმინისტრირების პროცესში.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მიიღებს მაქსიმალური შეფასების 71%-მდე.
9.	პროფესიული საქმიანობისას, იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს ეთიკური პრინციპების საფუძველზე.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მიიღებს მაქსიმალური შეფასების 71%-მდე.
10.	ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში ასრულებს გუნდის წევრის ან/და ლიდერის მოვალეობას.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მიიღებს მაქსიმალური შეფასების 71%-მდე.
11.	განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ განვითარებას, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მიიღებს მაქსიმალური შეფასების 71%-მდე.